ბრძანება

N 04/303

303-01-4-201711131549

13/11/2017

გადაწყვეტილება სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ 2017 წლის 18 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის 18 ოქტომბერს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ განცხადება (რეგ. №01/922) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ, შპს „საქართველოს ფოსტამ“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ დაარღვიეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

როგორც სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ მხრიდან წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, შპს „საქართველოს ფოსტის“ (შემდგომში - „ფოსტა“) მიერ 2017 წლის 27 ივლისს გამოცხადდა ტენდერი SPA170010343 ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურეობის შესყიდვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მოთხოვნებს პრეტენდენტების გამოცდილების შესახებ, შემდეგი სახით: *პრეტენდენტის მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში საქმიანობის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება (2.2.1).*

განმცხადებელი ასევე უთითებს SPA170011429 ტენდერზე - უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელშიც, მისი პოზიციით, პრეტენდენტთა მიმართ დისკრიმინაციული მოთხოვნები იქნა დაწესებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (შემდგომში - „სატრანსპორტო კომპანია“) მიერ და დარღვეულ იქნა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

კერძოდ, სატრანსპორტო კომპანიის მიერ დაწესებულ იქნა შემდეგი სახის მოთხოვნა პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ - *ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ 2016-2017 წლების განმავლობაში (სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მონაცემებით), მოზიდული პრემია (სამედიცინო - ჯანმრთელობის დაზღვევის კუთხით) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს, ამასთანავე, ამავე პერიოდში (სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მონაცემებით), ანალოგიურ მომსახურებაზე (სამედიცინო - ჯანმრთელობის დაზღვევის კუთხით) ანაზღაურებული ზარალის ოდენობა (ბრუტო), უნდა შეადგენდეს 2016 – 2017 წლების განმავლობაში მოზიდული პრემიის (არანაკლებ 5 000 000 ლარი) არანაკლებ 60%-ს (2.6.1).*

სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ განცხადება, პოზიციის დაფიქსირების მიზნით, კონკურენციის სააგენტოს მიერ, გადაეგზავნათ განმცხადებლის მხრიდან დასახელებულ ეკონომიკურ აგენტებს - შპს „საქართველოს ფოსტას“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“, ასევე, შესაბამის სახელმწიფო უწყებებს - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.

2. საქართველოს კანონმდებლობა

ა) მატერიალური ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) ერთ-ერთი მიზანია, უზრუნველყოს ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობები და აღმოფხვრას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები.

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დგინდება სააგენტოს საქმიანობის პრინციპები კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევა დაიწყოს. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ბ) პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოს მტკიცებულებები უნდა

წარუდგინოს. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, ქონებრივი ზიანი ადგება, რაზედაც შესაბამისი საჩივრით სააგენტოს მიმართავს. მომჩივანი მხარედ განიხილება და მტკიცების ტვირთი ეკისრება.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, სწავლობს საჩივრის დასაშვებობის საკითხს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, მომჩივანს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს წარდგენის ვადა ამავდროულად, საქმის მოკვლევის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეები (მომჩივანი და მოპასუხე/მოპასუხეები) ვალდებულნი არიან სააგენტოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდონ.

საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლით დადგენილია საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის მიხედვითაც, სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „განცხადების წარდგენის წესი") მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

უარის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე, სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.

3. განმცხადებლის პოზიცია

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (შემდგომში - „სადაზღვევო ჯგუფი“ ან „განმცხადებელი“) მიერ წარმოდგენილ განცხადებაში დაფიქსირებულია პოზიცია,

დასახელებული პირების მხრიდან, პრეტენდენტების მიმართ დაწესებულ დისკრიმინაციულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაშიც მოიაზრება ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში საქმიანობის 3 წლიანი გამოცდილების მოთხოვნა. განმცხადებლის მითითებით, ხსენებული მოთხოვნა არ ემსახურება ობიექტური მიზნის მიღწევას, რითაც ირღვევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები და იქმნება არაკონკურენტუნარიანი გარემო.

სადაზღვევო ჯგუფის წარმომადგენლის პოზიციით, ფინანსური მდგრადობა მთელი საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგია და ასახავს კომპანიის წარმატებას, ან წარუმატებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წელს დაარსებულ კომპანიას, რომლის ფინანსური მდგომარეობა გარანტირებულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, რადგან სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ტექნიკური მოთხოვნა პრეტენდენტისადმი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს აღნიშნულ ტენდერში ახლადშექმნილი კომპანიის მონაწილეობას, რაც არის დისკრიმინაციული და ხელს უწყობს არაკონკურენტული გარემოს შექმნას.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭომ, როგორც ფოსტის მიმართ 2017 წლის 10 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებით, ასევე სატრანსპორტო კომპანიის მიმართ 2017 წლის 12 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, დაავალა შემსყიდველ ორგანიზაციებს, გადასინჯონ მათ მიერ დადგენილი სატენდერო მოთხოვნები.

დავების საბჭო აღნიშნავს, რომ სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია მოთხოვნის მხოლოდ ამ სახით დაწესების შემთხვევაში დასახული მიზნის მიღწევა.

ბოლოს, სადაზღვევო ჯგუფის წარმომადგენელი განცხადებაში მიუთითებს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არ იცვლება მიდგომა და ისინი აპელირებენ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივართან დაკავშირებით, რითაც ფაქტობრივად ხელი ეწყობა არაკონკურენტული გარემოს დამკვიდრებას.

4. სააგენტოს შეფასება

წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობის შესწავლისა და მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის განსაზღვრის ეტაპზე, სააგენტომ გააანალიზა როგორც განმცხადებლის პოზიცია, ასევე მის მიერ დასახელებული პირების (ფოსტისა და სატრანსპორტო კომპანიის) მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტაცია.

სააგენტოს წერილობითი თხოვნის საპასუხოდ, განსახილველი საქმის გარემოებებთან მიმართებით, საკუთარი პოზიცია გამოხატეს ასევე - სსიპ საქართველოს დაზღვევის

სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ.

❖ <u>სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი პოზიცია:</u>

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 3 ნოემბრის N513 წერილში აღნიშნულია: *„სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას დაწესებული მოთხოვნები, შესყიდვის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს შემსყიდველის ნებას იმგვარად, რომ არ მოხდეს მიმწოდებლისათვის ხელოვნური ბარიერის დაწესება. {...} მიზანშეუწონელია, დადგინდეს ერთი ზოგადი მოთხოვნა მიმწოდებლის მიმართ, რომელიც იქნება „სახელმძღვანელო“ ყველა შესყიდვისათვის. ყოველი კონკრეტული შესყიდვის სახეობის, სპეციფიკის, მოცულობის თუ მისი მაჩვენებლების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს მოთხოვნების ადეკვატური კრიტერიუმების დაწესება. {...} მზღვეველის მიერ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში გამოცდილება წარმოადგენს ამ სახეობის მართვის კომპეტენციის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა არ გამორიცხავს სხვა - „ახალი“ მზღვეველის მიერ ისეთი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას, რომელიც შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს და ამავდროულად, ცალკე აღებული გამოცდილება არ წარმოადგენს იმის უტყუარ დადასტურებას, რომ კონკრეტული მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება სრულ შესაბამისობაში მოვა შემსყიდველის მოლოდინებთან“.*

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 6 ნოემბრის N4692 წერილში აღნიშნულია, რომ სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები *„უნდა ემსახურებოდეს მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების და სანდოობის შეფასების მიზანს. ამასთან, ყოველი ცალკეული მოთხოვნის წაყენებისას აუცილებელია, დაცული იქნას პროპორციულობის, თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპები, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნების ნეიტრალურად და პროპორციულად განსაზღვრას შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობისა და მიწოდების ვადის გათვალისწინებით. {...} საგულისხმოა, რომ ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების მატარებელს წარმოადგენს არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის/გამოცდილების მქონე პერსონალი. შესაბამისად, ტექნიკური ცოდნის შეფასებისათვის, საჭიროა მიმწოდებელს მოეთხოვოს ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების არსებობის დასაბუთება ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებაში. რაც შეეხება წლიურ ბრუნვას, იგი წარმოადგენს სასარგებლო ინდიკატორს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლის მოცემული პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი შესაძლებლობების შესაფასებლად“.*

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიციით, აგრეთვე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ SPA170010343 და SPA170011429 ელექტრონულ ტენდერებთან

მიმართებაში, პრეტენდენტის გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებით დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შემსყიდველ ორგანიზაციებს დაევალათ, დეტალურად ემსჯელათ, თუ რა მიზნის მისაღწევად იყო სატენდერო დოკუმენტაციაში დადგენილი მოთხოვნები პრეტენდენტის გამოცდილებასთან მიმართებაში, ასევე, რამდენად გამართლებული იყო აღნიშნული მოთხოვნის დაწესება დასახული მიზნის მისაღწევად.

❖ <u>მოპასუხეები, როგორც კანონის მე-10 მუხლით დარეგულირებული სუბიექტები:</u>

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტები არიან სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა დარღვევა/არდარღვევის საკითხი შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებთან მიმართებით. სააგენტოს გამოცემული აქვს არაერთი გადაწყვეტილება, რომელთა შესაბამისადაც, ხსენებული საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით, არ იქნა შეფასებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ქმედებები, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან თავსებადობის შემოწმების ჭრილში.

„საქართველოს ფოსტა“ არის საფოსტო ოპერატორი, რომლის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც არის სახელმწიფოს 100%-იან მფლობელობაში.

როგორც შპს „საქართველოს ფოსტის“ წერილშია (რეგ.№01/948; 01.11.2017წ.) აღნიშნული, „კონკურენციის სააგენტოს“ თავმჯდომარის 2016 წლის 28 დეკემბრის N245 ბრძანებაში ნათლად არის გამოხატული, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ არ წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტს, შესაბამისად, კომპანიისთვის გაუგებარია განცხადების არსი.

ფოსტის პოზიციით, განცხადებაში მოყვანილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ თითქოს სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა დავების საბჭოს მიერ, არ შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა თავად საქართველოს ფოსტამ სატენდერო კომისიის 2017 წლის 15 აგვისტოს N8 სხდომის ოქმით.

სააგენტოში წარმოდგენილ წერილში ფოსტამ ასევე გამოხატა პოზიცია სავარაუდო დარღვევის მატერიალურ შინაარსთან მიმართებით და არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ 2017 წლის 27 ივლისის SPA170010343 ტენდერის გამოცხადებით დარღვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა. ფოსტის პოზიციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად,

„მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის.“

თბილისის სატრანსპორტო კომპანია (ყოფილი შპს „თბილისის მეტრო") წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იან მფლობელობაში მყოფ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია თბილისის მერია.

სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელი 2017 წლის 6 ნოემბრის წერილში უთითებს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობას. „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ კი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება ხსენებული მუხლით დადგენილი შეზღუდვები.

აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იან მფლობელობაში მყოფ კერძო საწარმოს, რომელთა მმართველ პარტნიორებს, ერთ შემთხვევაში, თბილისის მერია, ხოლო მეორე შემთხვევაში - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) წარმოადგენს.

შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, აშკარაა, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. ამასთან, ფუნქციური თვალსაზრისით, უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, აღნიშნული შპს-ების, როგორც მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის იურიდიული პირების, ხოლო მეორე მხრივ, მათი მმართველი პარტნიორების საქმიანობა. აღნიშნული მმართველი პარტნიორები, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. რაც შეეხება მათი ზედამხედველობის ქვეშ არსებულ შპს-ებს, მიუხედავად სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გარკვეული ელემენტებისა, ეს კომპანიები მაინც კერძო სამართლის სუბიექტები არიან, რომლებიც საკუთარი საქმიანობიდან იღებენ შესაბამის შემოსავალს. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტები არიან, მათ დაქვემდებარებაში მყოფ კერძო კომპანიებს - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „საქართველოს ფოსტას“ - ასეთებად ვერ მივიჩნევთ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვინაიდან განმცხადებლის მიერ დასახელებული კომპანიები არ წარმოადგენენ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დარეგულირებულ სუბიექტებს, ვერ შეფასდება მათ მიერ ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევის საკითხიც.

კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უარს ამბობს განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სწორედ ეს გარემოება, კერძოდ, არ არსებობს სააგენტოს მიერ მოკვლევის დაწყებისათვის შესაბამისი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ განცხადება ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს და მის საფუძველზე მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

5. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ 2017 წლის 18 ოქტომბრის განცხადება არ იქნას დასაშვებად ცნობილი.

2. განმცხადებელს უარი ეთქვას წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობოს განმცხადებელს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე